პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 129
(7190)

7 ივლისი, 1982 წ.
ოთხშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

● საკავშირო პროფსაბჭოში

ჯილდოები საქართველოს ფიზკულტურულ ორგანიზაციებს

საკავშირო პროფკავშირების ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების საბჭომ შეაჯამა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოცხადებული XI ხუთწლედის დავალებათა შესრულებისა და გეგმების გადამეტებით განაღდებისთვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების პირველი წლის შედეგები და ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო საბჭოები, სპორტული კლუბები, ფიზკულტურის კოლექტივები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, დააჯილდოვა გარდამავალი წითელი დროშებითა და სამახსოვრო მედლებით. დაჯილდოებულთა შორის არიან საქართველოს ორგანიზაციებიც.

„ტრუდის“ ცენტრალური საბჭოს ხაზით რესპუბლიკური საბჭოების შეჯიბრებაში წარმატებისთვის **გარდამავალი წითელი დროშით** დაჯილდოვდა საქართველოს **„განთიადის“ რესპუბლიკური საბჭო.**

გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოვდნენ, აგრეთვე, **„განთიადის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაცია** და **თბილისის მაუდკამვოლის ფაბრიკა „საბჭოთა საქართველოს“ სპორტკლუბი „ივერია“.**

საკავშირო პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების ცენტრალურმა საბჭომ **სამახსოვრო მედლებით** დააჯილდოვა „განთიადის“ 10 სხვა ორგანიზაცია. ესენია: **აჭარის საოლქო საბჭო; სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭო; ფოთის საქალაქო საბჭო; მახარაძის რაიონული საბჭო; სამტრედიის რაიონული საბჭო; ქუთაისის კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის ფიზკულტურის კოლექტივი; ბათუმის ხის დამამუშავებელი კომბინატის ფიზკულტურული ორგანიზაცია; თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება; კასპის ქარხანა „ელექტროაპარატის“ კოლექტივი** და **თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხნის სპორტკლუბი „მეგობრობა“.**

სამახსოვრო მედლებით დაჯილდოვდნენ:

სპორტსაზოგადოება „უროჟაის“ ცენტრალური საბჭოს ხაზით გამართულ სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი მაჩვენებლებისთვის — **საქართველოს „კოლმეურნეს“ ცენტრალური საბჭო;**

„ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ხაზით — **საქართველოს „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭო და გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტკლუბი.**

„სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს ხაზით — **თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის სპორტკლუბი „იბერია“.**

„ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს ხაზით — **ამიერკავკასიის რკინიგზის ქუთაისის საკვანძო საბჭო.**

„ვოდნიკის“ ცენტრალური საბჭოს ხაზით — **ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ფიზკულტურული ორგანიზაცია.**

ტალინის დიდ პრიზზე

ტალინის ველოტრეკზე გაიმართა ტრადიციული შეჯიბრება ამ ქალაქის დიდ პრიზზე. 4 კილომეტრზე გამოდევნებით გუნდურ რბოლაში ჯილდო დაისაკუთრა საბჭოთა კავშირის პირველმა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში თბილისელ ი. ზიმენკოვთან გამოდიოდნენ მინსკელი ვ. მოვჩანი, ლენინგრადელი ა. ვასილიევი და კლაიპედელი გ. უმარასი.

მსოფლიო ჩემპიონმა ტულელმა ს. კოპილოვმა ჯერ ერთ კილომეტრზე გიტი მოიგო (1.07,749), შემდეგ გამოთიშვით გუნდურ რბოლაში გაიმარჯვა, სპრინტში კი, სადაც ფინალში მისი მეტოქე თბილისელი ე. გელაშვილი იყო, მცირე უპირატესობით მიაღწია წარმატებას.

ნაკრების მწვრთნელმა ს. მაქსიმოვმა კმაყოფილება გამოთქვა, რომ გელაშვილი ავადმყოფობის შემდეგ თანდათან უბრუნდება ჩვეულ სპორტულ ფორმას.

„ტალინის დიდი პრიზის“ გათამაშებაში საბჭოთა სპორტსმენების გარდა მონაწილეობდნენ დასავლეთ გერმანიისა და ფინეთის ველოსიპედისტები, რომლებიც წლევანდელი დიდი სტარტებისთვის ემზადებიან.

ESPAÑA 82

XII მსოფლიო ჩემპიონატის ტაბლო

5. VII იტალია — ბრაზილია 3:2
5. VII. ესპანეთი — ინგლისი 0:0

● ● ● ●

ნახევარფინალებში ითამაშებენ:

პოლონეთი — იტალია
გფრ — საფრანგეთი

ПЕРВАЯ СОВЕТСКАЯ ЭКСПЕДИЦИЯ НА ЭВЕРЕСТ
ГИМАЛАИ'82

ჟურნალისტის უბის წიგნაკიდან

●

„თუჯი ჩეი“, ცის მბრძანებელო!

წინა პლანზე ნუპცზეს უზარმაზარი მასივი გადაშლილიყო. მთელი მასივი ერთი სიმაღლისა მოჩანდა, თითქოს თარაზოთი გაესწორებიათო. უკანა პლანზე, მარჯვნივ ორთავიან ლჰოცზე იყო, ხოლო კიდევ უფრო უკან ევერესტის ზედა ნაწილი ეგვიპტური პირამიდის მსგავსად აღმართულიყო.

ევერესტი, მთამსვლელთა მრავალწლიანი იერიშების შემდეგ, პირველად ახალზელანდიელმა ედმუნდ ჰილარმა და შერპმა თენსინგ ნორგეიმ დალაშქრეს. ეს 1953 წელს მოხდა. ევერესტზე ასვლა ისეთივე (თუ მეტი არა) მნიშვნელობისა იყო, როგორიც ჩრდილო და სამხრეთ პოლუსების დაპყრობა.

დედამიწის უმაღლესი მწვერვალი რიგით მეორე აღმოჩნდა დალაშქრულ „რვაათასიანთა“ შორის, ხოლო ლჰოცზე — მეცხრე. მასზე 1956 წელს... „დაუგეგმავად“ ავიდნენ შვეიცარიელები ფ. ლუხსინგერი და ე. რეისი. ისინი თავდაპირველად ევერესტზე აპირებდნენ ასვლას, მაგრამ ბოლოს ლჰოცზეზე ამოჰყვეს თავი.

აღმოსავლეთით, ცის კაბადონზე გამოჩნდა კიდევ ერთი ბუმბერაზი — მაკალუ (8475 მ). „რვაათასიანი“ გიგანტებიდან მან მეექვსემ მოიხარა ქედი ადამიანების წინაშე. მაკალუ ისეთი გოლიათებიდან პირველი მწვერვალი აღმოჩნდა, რომელზეც მთელი ექსპედიცია ავიდა, ეს ექსპედიცია 1955 წელს ფრანგებმა მოაწყვეს. მათ წინა წელსაც სცადეს ამ მწვერვალზე ასვლა, მაგრამ მხოლოდ 7800 მეტრამდე მიაღწიეს. მომდევნო წელს, 3 დღის მანძილზე, ერთმანეთის მიყოლებით მაკალუზე ფეხი შედგეს ფრანგებმა ჟ. კუზიმ, ლ. ტერეიმ, ჟ. ფრანკომ, გ. მანონმა, შერპმა გიალცენ ნორბუმ, შემდეგ ისევ ფრანგებმა: ჟ. ბუვიემ, ს. კუპემ, რ. ლეროიმ, ა. ვიალეტმა.

მაკალუს იქით გვეგულებოდა ჰიმალაის უკანასკნელი ბუმბერაზი — კანჩენჯანგა, რომლის მწვერვალზეც ნეპალ-ინდოეთის საზღვარი გადის. ვიდრე ამ მწვერვალს თვალით ვეძებდით, ჩვენმა თვითმფრინავმა მოულოდნელად „დაუყვინთა“ და ზვიად კანჩენჯანგას თვალი ვეღარ მოვკარით.

ამ მწვერვალებზე ასვლა, ბუნებრივია, მხოლოდ რჩეულთა წილხვედრია. მაგრამ მხოლოდ მამაცობა არაა საკმარისი ჰიმალაის მწვერვალთა დასალაშქრავად. საჭიროა ნეპალის ტურიზმის სამინისტროს ნებართვა (წინათ ნებართვას ნეპალის საგარეო საქმეთა სამინისტრო იძლეოდა), და კიდევ — ფული.

აქაურ მწვერვალებზე ასვლის უფლება იყიდება, იყიდება სხვადასხვა ფასად — გააჩნია, როგორი სიმაღლისაა მწვერვალი. მაგალითად, თუ კაცმა მოინდომა 6600 მეტრიდან 7500 მეტრამდე სიმაღლის მწვერვალზე ასვლა, მან 10000 ნეპალური რუპია უნდა გადაიხადოს; 7501 მეტრიდან 8000 მეტრამდე სიმაღლის მწვერვალი 1200 რუპია ღირს; ყველა „რვაათასიანის“ იარლიყს კი 14000 რუპია აწერია. გამონაკლისია მხოლოდ ევერესტი. მას განსაკუთრებული ფასი აქვს—15000 რუპია, ოღონდ ეს თანხა ყველამ ოქროთი უნდა გადაიხადოს. ახლა ამას შერპებისთვის გადასახდელი ფულიც მიათვალეთ, — აქ უშერპებოდ ხომ არც ერთი ექსპედიცია არ ეწყობა.

(გაგრძელება მე-2 გვ.).

გაგრძელება. იხ. „ლელოს“ №№ 118, 120, 123, 125.

მეგობრობა— გზად და ხიდად

პიონერული ზაფხული—82

●

ისვენებენ ნორჩები გეორგიევსკიდან

ორი საუკუნის მჭიდრო და ურღვევი მეგობრობა აკავშირებს ქართველ და რუს ხალხს. შრომისა და შემოქმედების არაერთი სახელოვანი ფურცელი ჩაუწერიათ ორივე ერის შვილებს ხანგრძლივი ურთიერთობის ამსახველ ვრცელ მატიანეში.

...მესამე წელია, რაც დამეგობრებულ ქალაქ გეორგიევსკიდან ახმეტის რაიონის სოფელ ნადუქნარის პიონერთა ბანაკში ჩამოდიან ბალკოვსკის მეხორცეობის მეურნეობის მშრომელთა შვილები. გეორგიევსკელი ბავშვები ახმეტელ თანატოლებთან ერთად მხიარულად და შინაარსიანად ატარებენ ზაფხულის არდადეგებს, აწყობენ ექსკურსიებს და ტურისტულ ლაშქრობებს, მართავენ კონცერტებს, ერთმანეთს ეჯიბრებიან სპორტის სხვადასხვა სახეობაში, მონაწილეობას ღებულობენ „მხიარულ სტარტებში“. ფიზკულტურის მეთოდისტმა შოთა ფშაველაშვილმა საინტერესოდ ჩაატარა ასპარეზობანი ფეხბურთში, ფრენბურთში, ჭადრაკში, შაშში...

ახმეტის განათლების განყოფილებამ ბანაკში ყველა პირობა შეუქმნა გეორგიევსკელ ბავშვებს შინაარსიანი დასვენებისა და გართობისთვის. სპორტულ პაექრობებში თავი ისახელეს ი. ტესლენკომ, ი. რიკოვამ, ი. ფაბრეიკომ, ი. მოლჩანოვამ, ნ. ნარიკოვამ და სხვებმა.

ხ. გოგიშვილი.

• • •

სურათებზე: პიონერთა ბანაკის სპორტული ცხოვრების ამსახველი მომენტები.

ე. ხუცურაულის ფოტოები.

ПЕРВАЯ СОВЕТСКАЯ ЭКСПЕДИЦИЯ НА ЭВЕРЕСТ - 8848м -
ГИМАЛАИ'82

გაგრძელება





სურათებზე: თვითმფრინავი, რომელშიც ჩვენი თანამემამულეები ი. გელდიაშვილი, დ. ბაიდაური და ა. ბერიძე ისხდნენ, ეს-ეს არის ლუკლას აეროდრომიდან აფრინდა და უმალ უფსკრულის თავზე მოექცა; ხოფელი ლუკლა; ი. გელდიაშვილი (მარცხნიდან მეორე) ლუკლას აეროდრომზე.

ავტორის ფოტოები.

„თუჯი ჩეი", ცის მბრძანებელო!

ისე, კაცმა რომ თქვას, ამ მწვერვალებზე ახლა მუქთადაც შეიძლება ავიდეს კაცი, თუ მუსონების პერიოდში გაბედავს გამგზავრებას, მაგრამ ისედაც სახიფათო ასვლა ამ დროს უფრო საშიშია — მუსონები მთაში —ეს მკაცრი ზამთარი, საშინელი ყინვა და ქარიშხალია.

ჰიმალაიში მწვერვალზე ასვლისათვის ყველაზე კარგი დრო გაზაფხული და შემოდგომაა. სწორედ ამ დროსაა აქ გახურებული მთამსვლელური სეზონი. დედამიწის ცათამბჯენები, როგორც მრავალწლიანი გამოცდილება გვიჩვენებს, გაზაფხულობით უფრო მოწყალენი არიან.

მომაჯადოებელი ჰიმალაის მწვერვალებით, მათი ზღაპრული სანახაობით ტკბობა მთამსვლელებთან ერთად სხვებსაც შეუძლიათ, ამისათვის საჭიროა კატმანდუდან ლუკლაში გადაფრინდნენ. კიდევ მეტ მშვენიერებას იხილავენ, თუ ორი საათის განმავლობაში ისეირნებენ ჰიმალაის თავზე და უდიდეს მწვერვალებსაც გარშემოუფრენენ 54-ადგილიანი თვითმფრინავით.

ამგვარი სიამოვნება 50 ამერიკული დოლარი ღირს.

ასეთი ფრენისას თუ ცა ღრუბლებმა დაფარა, თვითმფრინავი უკან დაბრუნდება და მეორე დილით კვლავ ჰაერში აიჭრება. ფულის ხელმეორედ გადახდა საჭირო არაა.

დედამიწის უმაღლეს მწვერვალს პირველად 1933 წელს გადაუფრინეს. ინგლისელი მფრინავები კლაიზდაილი და მაკ-ინტაირი „ბრისტოლ პეგასებით" ორჯერ გაფრინდნენ. მათ დაზვერეს ევერესტი, მაკალუ და კანჩენჯანლა, იქიდან კი დაბრუნდნენ მდიდარი ნადავლით — ფოტო-კინოფირებით, რომლებზეც ეს მწვერვალები იყო აღბეჭდილი.

1942 წელს ამერიკელმა მფრინავმა რ. სკოტმა, რომელიც ახალ საბრძოლო თვითმფრინავს ცდიდა, კანჩენჯანლას შემოუფრინა. მერე ისე მიუახლოვდა მაკალუს, რომ ლამის ფრთა წამოსდო. სკოტმა ლჰოცზეს გადაუფრინა და ძალზე ახლოდან გადაიღო ევერესტი. ჰაერში ნავარდობისას ორჯერ გადაუფრინა ევერესტს, მწვერვალზე 3000 მეტრით მაღლა აფრინდა და კვლავ ფოტოსურათები გადაიღო. როგორც მას უთქვამს, ევერესტი ზემოდან კლდეების კუნძულს წააგავს.

3 წლის შემდეგ ახალზელანდიელმა მფრინავმა ს. ენდრიუსმა თავის მეგობარ კ. ფრენიკთან ერთად მაკალუს გადაუფრინა და ევერესტის შორიახლოს ტრიალებდა, თან ფოტოებს იღებდა.

კიდევ ორი წლის მერე ამერიკელმა მფრინავმა „სპიტფაიერით" საგანგებოდ გაისეირნა ევერესტის რაიონისკენ და იქიდან ფასდაუდებელი სურათები ჩამოიტანა.

საერთოდ, ყველა ეს საჰაერო გასეირნება, პირველის გარდა, უფრო სათავგადასავლო იყო, თუმცა ყველა მფრინავმა ძალზე საინტერესო ფირები ჩამოიტანა, რომლებიც მთამსვლელებისთვის (და არა მხოლოდ მთამსვლელებისთვის) ფასდაუდებელი განძი იყო.

მაღალმთიან სოფელ ნამჩე-ბაზარში (3450), ევერესტის ეროვნული პარკის მუზეუმში ვნახეთ ჰიმალაის ვეებერთელა ფერადი ფოტოსურათი, რომელიც საბჭოთა კოსმონავტებმა 1975 წელს კოსმოსიდან გადაიღეს. იმ სურათზე მთელი ნეპალი ისე ჩანდა, როგორც ფიზიკურ რუკაზე. საოცარი ფერები იყო. ნარინჯისფერი სჭარბობდა. სამხრეთით თანდათან მწვანდებოდა, ხოლო მწვერვალები ლაქებად ისე მოჩანდა, როგორც ნარინჯისფერზე დაღვენთილი თეთრი სითხე.

კიდევ ერთ მეტად საინტერესო ფაქტზე შევჩერდებით, რომელიც ძირითადად მხოლოდ მთამსვლელებისთვისაა ცნობილი.

როგორც ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, დედამიწაზე სულ 14 მწვერვალია, რომელთა სიმაღლე 8000 მეტრს აღემატება. აქედან 10 ნეპალის ტერიტორიაზეა. ოფიციალურ წყაროებში სწორედ ასეა მითითებული. მაგრამ ფაქტიურად, გაცილებით მეტია იმ მწვერვალთა რიცხვი, რომელთა სიმაღლე 8000 მეტრს აღემატება. მაგალითად, ჩვენთვის უკვე ცნობილ კანჩენჯანლას მასივს 4 ასეთი მწვერვალი აქვს, ანაპურნასა და ლჰოცზეს — სამ-სამი, მაკალუს — ორი, ასე რომ, გამოდის ჰიმალაიზე 22 „რვაათასიანი" ყოფილა, ეგ კი არა და, თუ დადგინდა, რომ მაკალუს ორ უმაღლეს მწვერვალთა შორის აღმართული პიკი 8000 მეტრის სიმაღლისაა, მაშინ ჰიმალაიზე 23 „რვაათასიანი" იქნება.

ბევრ მათგანზე ადამიანს ფეხი არ დაუდგამს!

..თვითმფრინავმა მოულოდნელად დაშვება დაიწყო. კვლავ წამომდგარი ვაგრძელებდი გადაღებას. უცებ მამაკაცმა, რომელიც სტიუარდესას მოვალეობას ასრულებდა, მაჯაში ხელი მტაცა და შეშფოთებულმა იყვირა — ჩქარა, თქვენს ადგილზე დაბრძანდით და ღვედები შეიკარითო, იმ კაცის სახემ მეც შემაკრთო. თვალი მფრინავების კაბინისკენ გამექცა. ღია კარებში ჩანდა თოვლიანი მწვერვალი, რომელიც სწრაფად გვიახლოვდებოდა. პირკატა მეცა. ჩვენი თვითმფრინავი თავდაყირა დაეკიდა. ველარ გამეგო თვითმფრინავი ვარდებოდა თუ იძულებით ჯდებოდა. ელდანაკრავს, ღვედების შეკვრაზე რომ ვჯახირობდი, ფოტოაპარატი ერთ მხარეს გადამივარდა, კალამი და უბის წიგნაკი — მეორე მხარეს. ის იყო ღვედების საკეტმა გაიტკაცუნა, რომ თვითმფრინავმაც ერთბაშად კვლავ ჰორიზონტალური მდგომარეობა მიიღო და დედამიწასაც დაეხეთქა. მერე ხტუნვა-ხტუნვითა და კისრისტეხით წინ გავარდა. მთის კედელივით დამრეცი ფერდობი ჩვენსკენ გამოქანდა. თვითმფრინავმა სწრაფად დაიწყო დამუხრუჭება და ის-ის იყო იმ კედელს უნდა შენარცხებოდა, რომ ერთ ადგილზე გაქვავდა.

ჩვენი თვითმფრინავი ლუკლას აეროდრომზე დაჯდა.

აეროდრომი მთებს შორისაა მოქცეული. ერთ მხარეს უფსკრულია, მეორე მხარეს —მთის ციცაბო ფერდობი. თვითმფრინავი სწორედ უფსკრულის თავზე ეშვება. ასაფრენ-დასაშვები ზოლი საკმაოდ დამრეცია და ამიტომ, როცა თვითმფრინავი აღმართზე ჯდება, გაცილებით სწრაფად მუხრუჭდება.

აეროდრომზე შეჯგუფული ხალხი დაგვხვდა. ტურიზმის ახალგაზრდული საერთაშორისო ბიუროს „სპუტნიკის" წევრები იყვნენ. მათ შორის შევნიშნე ქართველი მთამსვლელები ირაკლი გელდიაშვილი და დავით ბაიდაური, რომლებიც ჩვენი ალპინისტების საბაზო ბანაკიდან ბრუნდებოდნენ.

მათი მოკითხვა რიგიანად ვერ მოვასწარი, რომ ჩვენს თვითმფრინავში ჩასხდნენ. ძრავა კვლავ ახმაურდა, მანქანა აგუგუნდა, აძაგძაგდა, ადგილს შურდულივით მოწყდა და თავდაღმართში კისრისტეხით დაეშვა. მალე ჰაერში აიჭრა, მაგრამ მოულოდნელად მიწაზე დავარდა, მერე თითქოს უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, კვლავ აფრინდა და ამჯერად რომ სიმაღლე დაეკარგა, ალბათ უფსკრულში ჩაიჩეხებოდა.

ის ორი დამსხვრეული თვითმფრინავიც ვნახეთ. ერთი მათგანი აქ დაჯდომისას დალეწილა. ახლა მისი ფრთები და ფიუზელაჟი ღობის ფუნქციას ასრულებს.

მეორე თვითმფრინავს აქამდე მოუღწევია, მაგრამ უკან დაბრუნება ველარ მოუხერხებია და ახლა, როგორც ფრთამოტეხილი ფრინველი, სამუზეუმო ექსპონატივით დგას.

ვიდრე ლუკლას აეროდრომი აშენდებოდა, შერპები მსუბუქი ბარგით კატმანდუმდე ფეხით ჩასვლას ექვს დღეს ანდომებდნენ.

ეს აეროდრომი ედმუნდ ჰილარს აუშენებია. ჰილარის ცოლშვილი აქ მშვიდობიანად ჩამოსულა და აქედანაც მშვიდობით გაფრენილა, მაგრამ კატმანდუს მშვენიერ აეროდრომზე დაღუპულა.

ა. ბურასაშვილი.

(„ლელოს" სპეც. კორ.).

კატმანდუ—ლუკლა—თბილისი

(გაგრძელება იქნება)

ფიზკულტურელის დღისათვის

●

იქნება 8 საჩოგბურთო კორტი

●

ჩვენს რესპუბლიკას მალე ახალი შესანიშნავი სპორტული ბაზა შეემატება, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იქნება მთელს კავშირში, ბათუმში, ზღვის პირას შენდება ჩოგბურთის კომპლექსი 8 მოედნით, რომელზეც შესაძლებელი იქნება მოეწყოს დიდი მასშტაბის შეჯიბრებები. პროექტის ავტორია ახალგაზრდა არქიტექტორი გ. გაბაშვილი. კომპლექსს აშენებს „საქკურორტმშენის" ბათუმის კანტორა (უფროსი გ. გაბუნია, უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი ვ. აგიბალოვი),

ჩოგბურთის კომპლექსს კორტების გარდა ექნება კეთილმოწყობილი ადმინისტრაციული კორპუსი, გასახდელები, საშხაპეები, სავარჯიშო, დასასვენებელი ოთახები და სხვა.

მშენებლები ცდილობენ ყველა უბანზე შეუფერხებლად იმუშაონ, რათა დავალება დროულად და მაღალხარისხოვნად შეასრულონ. უკვე დასასრულს უახლოვდება ტრიბუნის მშენებლობა, რომელიც 1000 მაყურებელზეა გაანგარიშებული.

ზემოხსენებულ ობიექტზე გარჯით განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ელექტროშემდუღებელმა ა. საგინაძემ, მომპირკეთებელმა ა. შაბელნიკოვმა, მუშა ა. ასატურიანმა. მშენებელთა დასახმარებლად აქ ხშირად მოდიან 44-ე სამშენებლო პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები.

ობიექტი მწყობრში ჩადგება დროულად — აგვისტოში, ფიზკულტურელის საკავშირო დღეს.

ჭ. სალუქვაძე.

• • •

სურათზე: ახალი კორტის მშენებლობაზე.

ავტორის ფოტო.

ადგილებიდან გვატყობინებენ

ანკესებით მდინარე სუფსის პირას

ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჩოჩხათის მიდამოებში საინტერესოდ ჩატარდა სპორტსაზოგადოება „განთიადის" აჭარის საოლქო საბჭოს 1982 წლის პირადგუნდური პირველობა სპორტულ თევზჭერაში, რომელშიც 15 გუნდის 150-მა თევზჭერის მოყვარულმა მიიღო მონაწილეობა.

თითოეულ მონაწილეს ერთი ანკესის გამოყენების უფლება ჰქონდა. 150 ანკესი ერთდროულად გადაეშვა მდინარე სუფსაზე. ექვსსაათიანი ასპარეზობის შემდეგ მსაჯთა კოლეგიამ შეაჯამა შედეგები. ყველაზე მეტი თევზი (169) აღმოაჩნდათ ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის წარმომადგენლებს და საზოგადოების ჩემპიონის წოდებაც მათ მოიპოვეს. მეორე ადგილზე არიან საყოფაცხოვრებო მომსახურების მანქანათმშენებელი ქარხნის სპორტსმენები — 135, ხოლო მესამეზე — მე-5 სამშენებლო ტრესტის კოლექტივი — 122.

პირად ჩათვლაში უძლიერესის სახელი მოიპოვა ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის გუნდის წევრმა ბ. შეგვალიევმა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ მისი თანაგუნდელები გ. მახარაძე და ვ. ტეტინევი.

ო. მურვანიძე.

ფარცხმელ მოსწავლეთა სიხარული

რამდენიმე წელია, რაც ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზემოფარცხმის 8-წლიანი სკოლა ახალ, კეთილმოწყობილ შენობაში გადავიდა, მაგრამ აქამდე მარტივი ტიპის სპორტული მოედნებიც კი არ გააჩნდა. ეს გაითვალისწინა სკოლის დირექციამ, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციამ და სკოლის ეზოში სპორტული მოედნების მოსაწყობად ადგილი გამონახეს.

რამდენიმე დღეს გუგუნებდა ტრაქტორი, იქაურობას აცოცხლებდა მოსწავლეთა ხალისიანი ჟრიამული.

ასრულდა ბავშვების ოცნება — სკოლის ახალ შენობას შეემატა სპორტული მოედანი. მოედნის კეთილმოწყობის სამუშაოები ამ დღეებში დასრულდება.

აქაური მოსწავლეები წარმატებით გამოდიან რაიონულ პირველობებში. სკოლაში ნაყოფიერად მუშაობს ჭადრაკის, შაშის, მაგიდის ჩოგბურთის, ფრენბურთის, მძლეოსნობის, ფეხბურთის სექციები.

დ. ბურბენიძე.

(„ლელოს" კორ.).

ჩოხატაური.

ანგარიში გათანაბრდა — 6:6

მაშ ასე — 5 ივლისს გვიან საღამოთი სამხრეთ ამერიკისა და ევროპის კონტინენტების ფეხბურთელთა ანგარიში მსოფლიო ჩემპიონატებზე გათანაბრდა — 6:6. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც XII მსოფლიო ჩემპიონატის საყოველთაოდ აღიარებული ფავორიტები — ბრაზილიელები დამარცხდნენ იტალიის ნაკრებთან და გათამაშების ნახევარფინალს შემორჩა 4 გუნდი, ოთხივე ევროპისა.

მსოფლიო ჩემპიონობა აქამდე სამხრეთამერიკელებს (ურუგვაი, ბრაზილია, არგენტინა) მოპოვებული ჰქონდათ ექვსჯერ, ხოლო ევროპელებს (იტალია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ინგლისი) — ხუთჯერ. ნახევარფინალები ჯერ არ გამართულა, მაგრამ ახლა უკვე ნათელია, რომ ანგარიში გათანაბრდა — 6:6.

სიმართლე რომ ითქვას, ამას არავინ მოელოდა. ესპანეთის სტადიონებზე ბრაზილიელებმა თვალნათლივ ცხადყვეს თავიანთი უმაღლესი კლასი, ზედმეტი რომ არ ვთქვათ, უნაკლო ვირტუოზობა და ყველანი იძულებული იყვნენ საქვეყნოდ ეღიარებინათ — ამ ჩემპიონატზე ბრაზილიელი ოსტატები ყველა სხვა კონკურენტზე მთელი თავით მაღლა იდგნენ.

მართლაც, ბრაზილიელები შეუდარებელნი იყვნენ და ტრიუმფით განვლეს პირველი ეტაპის VI წინასწარი ჯგუფის მატჩები. აქ მათ მცირე „უსიამოვნებანი" ჰქონდათ სსრ კავშირისა და შოტლანდიის გუნდებთან შეხვედრებში, ვინაიდან პირველი გოლები საკუთარ კარში მიიღეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველაფერი დროზე მოაწესრიგეს და ქულათა მაქსიმუმით მოვიდნენ 5 ივლისამდე.

და, აი, მეორე ეტაპის ბოლო მატჩი იტალიის გუნდთან.

იტალიის ნაკრები, საერთოდ, არაა ხელწამოსაკრავი, გუნდის მდიდარი ტრადიციები, თამაშის საკუთარი ტაქტიკა, ორიგინალობა, დაცვის სიმტკიცე, პირველხარისხოვანი ფეხბურთელები ყველამ კარგად იცის, მაგრამ რით გამოიჩინეს თავი იტალიელებმა მიმდინარე ჩემპიონატში? არაფრით! თავად განსაჯეთ: 0:0 — 14 ივნისს პოლონელებთან, 1:1— 18 ივნისს პერუელებთან და ასევე 1:1 — 23 ივნისს კამერუნელებთან. თავის ჯგუფში იტალიამ მხოლოდ II ადგილი დაიკავა, კამერუნის გუნდთან ერთად ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვა და მხოლოდ იმით გაუსწრო მეტოქეს, რომ ბურთების სხვაობა აღმოაჩნდა უკეთესი: 2—2, ხოლო კამერუნელებს 1—1. სწორედ რომ მოკრძალებული აქტივია!

მაგრამ დაიწყო II ეტაპის თამაშები და იტალიელებმა ყველა განაცვიფრეს, როცა 29 ივნისს დაამარცხეს თვით მსოფლიო ჩემპიონები — არგენტინელები. იტალიელებმა იმ დღეს ბრწყინვალედ ითამაშეს, და ორი აზრი ამის თაობაზე არ შეიძლება არსებობდეს.

სანამ უშუალოდ იტალია — ბრაზილიის მატჩის პერიპეტიებს მიმოვიხილავდეთ, მცირე ექსკურსის უფლებას მოვითხოვთ:

მსოფლიო ჩემპიონატის არქივი გადავქექეთ გუშინ დილით, ვეძებდით მონაცემებს, თუკი რამ გაგვაჩნდა იტალიელთა შესახებ. წავაწყდით იტალიელთა მწვრთნელის ენცო ბეარზოტის ინტერვიუს, რომელიც ჯერ კიდევ მაისში დაბეჭდილა იტალიურ ჟურნალ „პანორამაში". აი, რა უთქვამს მაშინ იტალიელთა დამრიგებელს:

—დარწმუნებული ვარ, ყველაზე უფრო გაგვიჭირდება პირველ ეტაპზე, სადაც 4 მონაწილიდან მხოლოდ 2 გადის გათამაშების შემდგომ წრეში. გაცილებით უფრო იოლი იქნება ჩვენთვის მეორე ეტაპის თამაშები. აქედან პირდაპირი გზაა ნახევარფინალისკენ და ჩვენც, დარწმუნებული ვარ, გამარჯვებისთვის ვიქნებით განწყობილი.

მაშინ ბეარზოტს შეახსენეს, რომ მას არა ჰყავს ისეთი ვარსკვლავები, როგორებიცაა არგენტინელი მარადონა, ბრაზილიელი ზიკო, დასავლეთგერმანელი რუმენიგე ან ფრანგი პლატინი, მან კი მოკლედ თქვა: ჩემთვის მთავარია ნაკრებს დაუბრუნდეს პაოლო როსი და ჯანმრთელად იყოს მეკარე დინო ძოფი. დანარჩენს მოევლება.

შემთხვევით მოხდა ეს, თუ იტალიელთა მწვრთნელი მართლა „გულთმისანი" ყოფილა, „სკუადრა აძურამ" 5 ივლისს ყველა განაცვიფრა და დაუვიწყარი სპექტაკლი გამართა ბარსელონის „სარიას" სტადიონზე.

სხვათა შორის, ამ მატჩის წინ ფრთხილობდა ტ. სანტანაც: — მართალია, — თქვა მან, — კარგად ვითამაშეთ არგენტინელებთან, მაგრამ პირველ ტაიმში გაგვიჭირდა და მხოლოდ შემდგომში შევძელით უპირატესობის რეალიზება. წინ კიდევ უფრო რთული მატჩი გვაქვს იტალიელებთან.

ამ „კიდევ უფრო რთული მატჩის" პრობლემები ბრაზილიელმა სპეციალისტმა ახსნა იმით, რომ იტალიელებს საოცარი უნარი აქვთ განეწყონ წარმატებისთვის, შეუძლიათ მკაცრი, ძალისმიერი თამაშით გაუვალი დაცვის შექმნა და მოულოდნელი კონტრიერიშები, რომლებიც კარში მეტად სახიფათო დარტყმებით მთავრდება.

თავისი სიტყვა თქვა არგენტინელმა დიეგო მარადონამაც: „იტალიელი ფეხბურთელები ჩვენთვის გაცილებით უფრო ძნელი მეტოქეები არიან, ვიდრე ბრაზილიელები. მე მუდამ დიდი პატივისცემით ვეპყრობი იტალიურ ფეხბურთს, მისი ცხრაკლიტულიანი დაცვა ძალზე ძნელი დასაძლევია."

ამრიგად, ეს იყო მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის რიგით 47-ე მატჩი: ბრაზილია-იტალია. მსაჯობდა ა. კლეინი (ისრაელი).

იტალია: ძოფი, ჯენტილე, კოლოვატი (ბერგომი), შირეა, კაბრინი, ორიალი, ტარდელი (მარინი), ანტონიონი, კონტი, გრაციანი, როსი;

ბრაზილია: პერესი, ლეანდრო, ოსკარი, ლუიზინიო, ჟუნიორი, ფალკაო, სერეზო, სოკრატესი, ზიკო, სერჟინიო (ისიდორო), ედერი.

ნახევარფინალში გასასვლელად ბრაზილიელებს ფრეც ჰყოფნიდათ, იტალიელებს კი მხოლოდ გამარჯვება აძლევდათ ხელს. ამიტომ ევროპელებმა სასწრაფოდ შეუტიეს, მე-4 წუთზე როსიმ სულ მცირედით ააცილა ბურთი მიზანს, წუთის შემდეგ კი მიიღო კაბრინის გადაცემა და ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში. ეს იყო სწრაფი, მოფიქრებული კომბინაცია, რომელიც მინდვრის სიღრმიდან წამოიწყო ტარდელიმ და დაამთავრა როსიმ.

ბრაზილიელები, ალბათ შეჩვეულები არიან პირველ გოლის საკუთარ კარში, ამიტომ ისინი აუღელვებლად, შეიძლება ითქვას, აუჩქარებლადაც განაგრძობდნენ თამაშს. საპასუხო ბურთის გატანის შესაძლებლობა ჰქონდათ სერჟინიოსაც, ზიკოსაც, ედერსაც, მაგრამ ეს აუჩქარებლობა და შენელებული ტემპი თვალნათლივ იგრძნობოდა.

მე-12 წუთზე ზიკომ ღია პოზიციაში გაიყვანა სოკრატესი, იგი გავიდა მოპირდაპირე კარის სიახლოვეს და დაბალ კუთხეში გაგზავნა საპასუხო ბურთი — 1:1.

25-ე წუთზე სერეზომ მიუტევებელი შეცდომა დაუშვა თავის საჯარიმოსთან. ბურთი ჩაიგდო როსიმ, სწრაფად გაიჭრა წინ, დრიბლინგით ასცდა ლუიზინიოს და მეორე ბურთი გაიტანა პერესის კარში — 2:1.

ტაიმის დამთავრებამდე მინდორზე თანაბარი ბრძოლა წარმოებდა და სწორედ ამ პერიოდში გამოჩნდა, რომ, თურმე, არც ბრაზილიელები ყოფილან თანამედროვე ფეხბურთის ხელშეუხებელი ღმერთები. ყურადღება მიიპყრო ერთმა ამბავმა: იტალიელები, განსაკუთრებით ჯენტილე, ხშირად უხეშობდნენ, ბრაზილიელებს მრავალგზის მიეცათ საჯარიმო დარტყმის უფლება და ამ სტანდარტულ მდგომარეობებს ისინი ამ დღეს გასაოცარი ერთფეროვნებით, ტრაფარეტულად ასრულებდნენ. ბრაზილიელები, საერთოდ, საჯარიმოთა გათამაშების დიდი ოსტატები არიან, ახლა კი ისინი (ამას უმთავრესად ედერი აკეთებდა) ბურთს იტალიელ მცველთა „კედელს" ახვედრებდნენ სისტემატურად.

ჩვენი აზრით, ბრაზილიელებს ცუდი სამსახური გაუწია მეტისმეტმა თვითდაჯერებამ, ზედმეტმა დარწმუნებამ საკუთარ ძალებში, დროდადრო ისინი მონოტონურადაც მოქმედებდნენ, მაშინ, როცა იტალიელები შესანიშნავად უხამებდნენ ერთმანეთს საუკეთესოდ ორგანიზებულ დაცვას, სწრაფ კონტრიერიშებს, მაქსიმალურად იყენებდნენ პირველხარისხოვანი ბომბარდირის როსის ოსტატობას.

ზედმეტი თვითდაჯერების გარდა ბრაზილიელთა თამაშში იგრძნობოდა ჭარბი ინდივიდუალიზმი, არ იყო ადრინდელი აზარტი, ტემპერამენტი, აგრესიული განწყობილება, ხშირად ამუხრუჭებდა შეტევას სერჟინიო, უზუსტო იყო გადაცემები, სუსტად ითამაშა მეკარე ვალდირ პერესმა, ამას გარდა სრული გაუგებრობა სუფევდა ცენტრალურ მცველებს ოსკარსა და ლუიზინიოს შორის. მათ ვერაფერი გაუგეს როსის, ვერ შეძლეს მისი სწრაფი მანევრების ნეიტრალიზება. ბრაზილიელები თამაშობდნენ იმ გაუმართლებელი რწმენით, რომ მათი დამარცხება არ შეუძლია არავის, მათ შორის იტალიელებსაც და როცა მარცხის საშიშროება უკვე რეალობად იქცა, გვიანღა იყო. იტალიელთა მეკარემ დინო ძოფმა და მცველებმა შეძლეს ბრაზილიელთა ყველა იერიშის მოგერიება, ანგარიშის გათანაბრების კარგი შესაძლებლობა კი ამ უკანასკნელთ რამდენიმეჯერ შეექმნათ.

ამასობაში „სკუადრა აძურა" სულ მეტი და მეტი აღმავლობით იბრძოდა. მას შემდეგ, რაც ფალკაომ 68-ე წუთზე მეორე ბურთი გაიტანა და თანაფარდობა აღადგინა — 2:2, იტალიელებმა კვლავ შექმნეს კონტრთამაში და იმავე პაოლო როსიმ 75-ე წუთზე მესამედ აიღო მეტოქის კარი. 3:2 — გაიმარჯვეს იტალიელებმა, რომლებიც ნახევარფინალში გავიდნენ, გავიდნენ სავსებით დამსახურებულად, ღირსეულად, აქ კი მათი მეტოქე იქნება პოლონეთის ნაკრები. საყურადღებოა, რომ 2-2 გაფრთხილების გამო ამ მატჩში ვერ ითამაშებენ იტალიელი ჯენტილე და პოლონელი ბონეკი. პირველი მათგანი დაცვის წამყვანი ფიგურაა, მეორე — თავდამსხმისა, ასე რომ, ამ ფეხბურთელთა მეტად საინტერესო „დუელი" მიმდინარე ჩემპიონატში არ შედგება.

* * *

მადრიდში იმავე დღეს ერთმანეთს შეხვდნენ ესპანეთისა და ინგლისის გუნდები. თვით ამ მონაწილეთა გარდა მატჩის შედეგით დიდად დაინტერესებული იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები, მართალია, ესპანელებს ადრევე ჰქონდათ გადაწურული ნახევარფინალში გასვლის ყოველგვარი იმედი პირველი წაგებული მატჩის შემდეგ, მაგრამ ისინი ჩემპიონატის მასპინძლები არიან, მთელი საფეხბურთო ესპანეთი მათი შემყურეა და ინგლისის ნაკრებთან მატჩი რეაბილიტაციის ერთადერთი, უკანასკნელი საშუალება იყო, ცხადია, მასპინძლები არაფერს დათმობდნენ. ხ. სანტამარიას გუნდმა, მართლაც, არ დათმო და უშეღავათო ბრძოლა გაუმართა ინგლისის ნაკრებს, რომელსაც, თავის მხრივ, რთული ამოცანა უნდა შეესრულებინა; ან 2 ბურთის სხვაობით მოეგო მატჩი, ან ანგარიშით 3:2, 4:3 და ა. შ., რათა გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი ბალანსით გაესწრო დასავლეთგერმანელთათვის.

ინგლისელებმა, უნდა ითქვას, ყველაფერი გააკეთეს წარმატების მისაღწევად, არ დაზოგეს ძალები, მთელი თავიანთი შესაძლებლობით ითამაშეს რობსონმა, ვუდკოკმა, ფრენსისმა, მარინერმა და შემდეგ, როცა უკვე საქმე დიდად გაჭირდა, ბრუკინგმაც და კიგანმაც. მატჩის დიდი ნაწილი ბრიტანელებმა მეტოქის ნახევარზე გაატარეს, მრავალი სახიფათო მომენტიც შექმნეს, თუმცა ყველაფერი ეს უშედეგოდ დამთავრდა—0:0. ესპანელები შეუპოვრად იცავდნენ თავს, კონტრიერიშების დროს კი სახიფათოდ მოქმედებდნენ სანტილიანა, ზამორა, სატრუსტეგი.

გამოვიდა, რომ ინგლისმა და ესპანეთმა თავგამოდებით იბრძოლეს ერთმანეთთან, ნახევარფინალში კი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელები გავიდნენ!

ახლა 8 ივლისის მოლოდინით ვართ აღსავსენი. ბარსელონაში ერთმანეთს შეხვდებიან პოლონეთისა და იტალიის ფეხბურთელები, ხოლო სევილიაში — გფრ-ისა და საფრანგეთის გუნდები.

გათამაშების საბოლოო ცხრილები „ბ" და „გ" ჯგუფებში ასეთია:

„ბ" ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
გფრ	2	1	1	0	2—1	3
ინგლისი	2	0	2	0	0—0	2
ესპანეთი	2	0	1	1	1—2	1

„გ" ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
იტალია	2	2	0	0	5—3	4
ბრაზილია	2	1	0	1	5—4	2
არგენტინა	2	0	0	2	2—5	0

* * *

სურათზე: იტალია-ბრაზილიის გუნდების მატჩი. შეხვედრის გმირი პაოლო როსი გატანილი გოლის შემდეგ.

აპ-საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ფეხბურთი იტალიურად

იტალია-ბრაზილიის გუნდების შეხვედრის შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ე. ბეარზოტმა თქვა, რომ მისი გუნდი მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის მთავარი სიურპრიზია და დამსწრე ჟურნალისტებს მწვრთნელის ეს განცხადება საკუთარი თავის ქებად არ მიუღიათ. მართლაც, გათამაშების პირველი ეტაპის საშუალო კოლექტივიდან იტალიის გუნდი თანდათან იქცა მძლავრ ძალად და ახლა ერთ-ერთი ფავორიტია. სწორედ იმის წყალობით, რომ იტალიელებმა დაამარცხეს არგენტინისა და ბრაზილიის გუნდები, ჩემპიონატის ფინალური ნაწილი მხოლოდ ევროპელთა მონაწილეობით ჩაივლის.

— ჩვენ სწორი დასკვნები გამოვიტანეთ პირველი წრის წარუმატებლობიდან, — თქვა ე. ბეარზოტმა, — გამოვასწორეთ ყველაზე უფრო დიდი ნაკლოვანება, რომელიც შეტევის არასაკმარის ეფექტიანობაში გამოიხატებოდა. ბრაზილიელებთან გამარჯვება შემთხვევითი არაა, ეს გუნდის კარგი მომზადების, მაღალი ფსიქოლოგიური და ფიზიკური მზადყოფნის შედეგია. ჩვენი მეტოქის შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ, როცა ანგარიში გახდა 2:2, მან გარანტირებულად მიიჩნია გამარჯვება და მთელს მინდორზე თავისუფალი მოქმედების საშუალება მოგვცა.

შემდეგ ჟურნალისტები ტაშით შეხვდნენ ბრაზილიელთა მწვრთნელს, სათანადო მიუზღეს მის ამაგს, ბრაზილიელთა შესანიშნავ თამაშს ესპანეთის სტადიონებზე.

ტელე სანტანამ განაცხადა:

— მე არ მითქვამს, რომ ბრაზილიელები მსოფლიო ჩემპიონები გახდებიან. უბრალოდ, ჩემი აზრით, სამისო შანსი ჰქონდა მას, ვინც არგენტინელებს დაამარცხებდა. ფეხბურთი ფეხბურთია და ყოველმა გუნდმა შეიძლება მოიგოს ან წააგოს. ორივე მხარე შემტევ ფეხბურთს თამაშობდა, მრავალი შესაძლებლობაც ჰქონდა და განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ იტალიელებმა უკეთ გამოიყენეს თავიანთი შანსი. მათი სული და გული ამ დღეს პაულო როსი იყო, რომელმაც მაღალ ინდივიდუალურ თვისებებთან ერთად შესანიშნავი კოლექტიური თამაში გამოავლინა.

ტ. სანტანას არაერთხელ უთქვამს, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ აპირებს თავი დაანებოს ეროვნულ ნაკრებს, ვინაიდან ეს მეტად ძნელი საქმეა მისი ასაკის კაცისთვის. როცა ჟურნალისტებმა ეს სიტყვები შეახსენეს მწვრთნელს და ჰკითხეს, თუ რას აპირებს სამომავლოდ (მას ხომ მთავარი მიზანი მიუღწეველი დარჩა), სანტანამ უპასუხა:

— უპირველეს ყოვლისა, შვებულებაში წავალ. გამორიცხული არაა ჩემს პოსტზეც დავრჩე, თუმცა ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატი ბრაზილიელთა სასარგებლოდ არ წარიმართა. ვინ უნდა დავადანაშაულო? ბრაზილიის ახლანდელ ნაკრებს პრაქტიკულად ვაყალიბებდი 1980 წლიდან, უდიდესი სამუშაო გავწიეთ.

აქ კვლავ გაისმა ტაში. ჟურნალისტებმა კვლავ მიუზღეს სათანადო თვით ტელე სანტანასაც და მის გუნდსაც იმ შესანიშნავი თამაშისთვის, რომლითაც მათ გაახარეს მილიონობით ფეხბურთის მოყვარული.

ESPAÑA 82

ვინ, თუ არა ბრაზილიელები?

ახლა, როცა ბრაზილიელებმა სრულიად მოულოდნელი მარცხი განიცადეს იტალიის გუნდისგან, ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატზე აკრედიტებული კორესპონდენტები თავიდან შეუდგნენ იმის ძიებას, თუ დარჩენილი გუნდებიდან ვინაა ფავორიტი. უმეტესობა ასახელებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებს და მიაჩნია, რომ ამ გუნდის სტაბილურობა საბოლოო ჯამში გადამწყვეტი უნდა აღმოჩნდეს ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში.

ტელევიზიით კვლავ და კვლავ იმეორებენ იტალია-ბრაზილიის მატჩის მომენტებს, ხშირად აჩვენებენ როგორ გაიტანა პ. როსიმ 3 ბურთი, ხაზს უსვამენ, რომ მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ბრაზილიელთა კარში ერთ მატჩში 3 ბურთის გატანა მხოლოდ ამ იტალიელმა შეძლო.

ტელევიზიით გამოვიდა პელეც. იგი აშკარად გაწბილებულია თავის თანამემამულეთა თამაშით, აღნიშნა, რომ ბრაზილიელები ნაადრევად შეუდგნენ საკუთარ მასურებზე ოქროს მედლების მორგებას და ამის გამო ჯეროვნად ვერ შეაფასეს მეტოქის ძალა. მისი აზრით, ყველაფერი გადაწყდა მაშინ, როცა ფალკაოს დარტყმის შემდეგ ანგარიში გახდა 2:2. ბრაზილიელებმა ფრე გარანტირებულად მიიჩნიეს და მწარედ მოტყუვდნენ.

არანაკლებ ყურადღების ცენტრშია მეორე მატჩი ესპანეთისა და ინგლისის გუნდებს შორის. პრესა აღნიშნავს, რომ ეს იყო ესპანელთა საუკეთესო მატჩი, მათ ადრევე უნდა ეთამაშათ ასეთი სიძლიერით. ასეა, თუ ისე, მათ წარმატებით ჩაატარეს საპრესტიჟო ორთაბრძოლა.

ასპარეზობენ ნორჩი ავტოკონსტრუქტორები

იმ დღეებში საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტის კორდოდრომი რუსთავში მოზარდების განკარგულებაში იყო. აქ რესპუბლიკურ პირველობაში არკვევდნენ ურთიერთობას ავტომოდელისტთა XIV პირადგუნდური შეჯიბრებების ნორჩი მონაწილენი. სარბიელზე გამოვიდა 59 ნორჩი კონსტრუქტორი. მათ შორის პირველად ვიხილეთ წულუკიძის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის ავტომოდელისტთა გუნდი, რომლის წევრებმა რამდენიმე შესანიშნავი ნამუშევარი წარმოადგინეს.

ყველას აჯობეს ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის (ხელმძღვანელი ს. ჩილიჯიანი) კონსტრუქტორებმა. მათ ოდნავ ჩამორჩნენ თბილისის მასწავლებლის სახლთან არსებული წრის წევრები, III ადგილი წილად ხვდათ თბილისის ი. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კულტურის სახლის ნორჩ ავტომოდელისტებს.

პირად პირველობაში 1,5 კბ სმ-ის ასლ-მოდელებში გაიმარჯვა ბათუმელი ო. ჩილიჯიანის ნამუშევარმა. 2,5-იანებში ჩემპიონი გახდა ასევე ბათუმელი ვ. კორძახია, საჰაერო ხრახნიან მოდელებში—ბ. კიზერაშვილი. 2,5-იანი საბარულო მოდელების შეჯიბრებაში — გ. ბაინდუროვი (ორივე თბილისი). 1,5-იანი ასეთივე მოდელებით წარმატება ხვდა თბილისელ დ. ქვრივიშვილს. დ. ცივაძის (ბათუმი) მოდელი უძლიერესი იყო ელექტრომობილების ტურნირში. რადიომართული მოდელებით რბოლაში პირველი ჯილდო დაიმსახურა პ. ლომთაძის (თბილისი) ნამუშევარმა.

ხ. ვართანესოვი.

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: (მარცხნიდან მარჯვნივ) ჩემპიონები დ. ქვრივიშვილი, პ. ლომთაძე. ვ. კორძახია; ასპარეზობის ერთ-ერთი მომენტი; გამარჯვებული გუნდი.

ავტორის ფოტოები.

● მძლეოსნობა

შორეული პერსპექტივის გათვალისწინებით

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადები, როგორც წესი, ორ წელიწადში ერთხელ, ყოველ ლუწ წელს ეწყობოდა, მაგრამ მოსკოვის ოლიმპიადის გამო XVI სპარტაკიადა ერთი წლის დაგვიანებით, 1981 წელს გაიმართა. ცნობილია, რომ მისი შედეგები გარკვეული კოეფიციენტით შევა სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის საერთო ჩათვლაში, ხალხთა სპარტაკიადა კი მომავალ წელს უნდა მოეწყოს. მოსწავლეთა საკავშირო სტარტების გრაფიკის „გასწორების" მიზნით მორიგ, XVII სპარტაკიადასაც 3 წელიწადს მოუწევს ლოდინი: იგი 1984 წელს ჩატარდება. აი, ამ დიდი ფორუმისთვის ემზადებიან ამჟამად მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის მოსწავლე-სპორტსმენები.

ჩვენი რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ დროულად დასახა წინა სარტაკიადაში დაშვებული შეცდომების გამოსწორების გზები და ახლა ყველა სპორტული ღონისძიება სწორედ სამერმისო სტარტებისთვის ძალების შემოწმებას ისახავს მიზნად.

საქართველოს მოსწავლე-მძლეოსანთა წლევანდელი ფინალური შეჯიბრებაც ძალების ერთგვარ დათვალიერებად გადაიქცა. ტურნირის მონაწილეთა უმრავლესობა სწორედ XVII საკავშირო სპარტაკიადის ასაკის მოზარდებია. ასპარეზობას წინ უსწრებდა ბათუმსა და რუსთავში ჩატარებული ზონალური შეჯიბრებები. ამ სტარტებში გამოვლენილი დაახლოებით 50-მდე ნიჭიერი მოზარდი მოიწვიეს ფინალში, სადაც გუნდური პირველობისთვის პირველი ჯგუფის კოლექტივები იბრძოდნენ.

წარმატებით გამოვიდა ახალციხის მოსწავლეთა ნაკრები გუნდი. მწვრთნელების თ. ჯიშკარიანის, ვ. ნებაძის, ე. ხაჩატურიანის აღსაზრდელებმა უკან ჩამოიტოვეს რუსთავის, აჭარის, აფხაზეთის, მახარაძის წარმომადგენლები და თბილისის გუნდის შემდეგ მეორე ადგილი დაიკავეს. პირად პირველობაში ახალციხელმა სპორტსმენებმა 16 საპრიზო ადგილი მოიპოვეს. გამარჯვებულთა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ორჯერ ავიდა 16 წლის ახალციხელი ე. ბელოგუროვა, რომელსაც ბადალი არ ჰყავდა 1500 და 3000 მეტრზე რბენაში.

ქების ღირსია გარდაბნელი მწვრთნელი ბ. მაისურაძე, რომელმაც გულმოდგინედ მოჰკიდა ხელი გოგონებში სპორტული სიარულის დანერგვას. მისი მოსწავლე 14 წლის ე. კინია უძლიერესი იყო 3 კილომეტრზე სიარულში (15.59,0), სადაც მან პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ მისი თანაგუნდელები 13 წლის ნ. თევზაძე და 15 წლის მ. ჯიმშიტაშვილი. ამასთან ორივემ გადააჭარბა მეორე თანრიგის ნორმას.

ბიჭებიდან შეიძლება გამოვყოთ თბილისელი ლ. იაბჩენკო. მან ერთი სანტიმეტრით ჩამოიტოვა თანაგუნდელი გ. გლაზოვი, როცა 661 სანტიმეტრ სიგრძეზე გადახტა და თითქმის 80 სანტიმეტრით აჯობა სამხტომში მეორე ადგილზე გასულ გ. დაკიურიძეს (სკოლა-ინტერნატი). იაბჩენკომ სამხტომში პირველი თანრიგის ნორმას გადააჭარბა.

შეჯიბრების მთავარი მსაჯის, საკავშირო კატეგორიის არბიტრ მ. ტულუშის აზრით, მოსწავლეთა რესპუბლიკურმა პირველობამ რამდენიმე პერსპექტიული მძლეოსანი გამოავლინა. ამავე დროს მან აღნიშნა ქუთაისელ მძლეოსანთა სუსტი შედეგები. აქ პირად შეჯიბრებაში გამოვიდა რამდენიმე ქუთაისელი სპორტსმენი. მათგან ერთადერთი ვ. ფირცხალაიშვილი იყო, რომელმაც გამარჯვებას მიაღწია 110 მეტრზე თარჯრბენში (პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულა) 15,0. მაგრამ იგი სხვებზე ბევრად უფროსია და ამიტომ კონკურსგარეშე გამოდიოდა. 14 წლის ე. ენუქაშვილმა კი 400 მეტრზე მორბენალ ჭაბუკთა შორის მესამე ადგილის მოპოვება შეძლო.

რესპუბლიკურმა პირველობამ, რომელიც თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე 4 დღეს გრძელდებოდა, ნათლად დაგვანახა, რომ სპეციალიზებულ სპორტულ სკოლებსა და სექციებში ჯერ კიდევ მთლიანად ვერ იყენებენ მოზარდების „სპორტის დედოფლით" დაინტერესების შესაძლებლობებს.

უნდა აღინიშნოს ის სასიამოვნო ფაქტი, რომ ტურნირი საკმაოდ მასობრივი გამოდგა. მაგალითად, ბიჭების სპრინტში 40-მდე მოზარდი ასპარეზობდა. შედეგებიც ერთობ მჭიდრო იყო, სიგრძეზე ხტომაში 23 მოზარდი ცდიდა ძალას, ათჭიდზე კი ამას ვერ ვიტყვით. ამ სახეობაში, ისე, როგორც 400 მეტრზე თარჯრბენში და 5000 მეტრზე შეჯიბრებაში, მხოლოდ 4-4 ჭაბუკი იბრძოდა, სპორტულ სიარულში — 3, 2000 მეტრზე წინაღობებით რბენაში — 2 (?!).

დაახლოებით ანალოგიური სურათი იყო გოგონათა შეჯიბრებაში. სპრინტში, სპორტსმენთა სიმრავლის მხრივ, აქაც კარგად იყო საქმე, ტექნიკურ სახეობებში კი?..

პერიფერიებში მომუშავე მწვრთნელები გულისტკივილით ლაპარაკობენ იმაზე, რომ ბევრგან მძლეოსნობის ტექნიკური სახეობების განვითარების პირობები არა აქვთ. ამ საქმეს განსაკუთრებით აფერხებს თარჯების, ჭოკების და სხვა ინვენტარის უქონლობა.

ო. გელაშვილი.

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ლ. იაბჩენკო ასპარეზობისას; 800 მეტრზე მორბენალი გოგონები დისტანციაზე.

რ. ქვარცხავას ფოტოები.

დოსააფის ლატარიის ტირაჟები

1982 წლის 3 ივლისს ლენინგრადში გაიმართა სსრ კავშირის დოსააფის წლევანდელი პირველი გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი.

სულ გათამაშდა 20 მილიონი მანეთის 7 680 000 ნივთებისა და ფულადი მოგება.

დიდი მოგებები ხვდათ ბილეთებს: № 050, სერია 171388 — ავტომანქანა „ვოლგა"; № 061 — 173141 — ავტომანქანა „ჟიგული"; № 034 — 171015 — ავტომანქანა „მოსკვიჩი"; № 075 — 170905 — ავტომანქანა „ზაპოროჟეცი"; №007 — 170184, №004 — 171327, № 008 — 171468, № 048 — 172186 — ეტლიანი მოტოციკლეტი „ურალ-3"; № 047 — 170260 — ეტლიანი მოტოციკლეტი „დნეპრი"; № 090 — 171699, № 096 — 172992, № 068 — 173030 — ეტლიანი მოტოციკლეტი „იჟ-იუპიტერი".

ოფიციალური ცხრილი გამოქვეყნდება 1982 წლის 11 ივლისს გაზეთებში: „ტრუდი", „სოვეტსკი სპორტი", „სელსკაია ჟიზნი" და „სოვეტსკი პატრიოტი".

შემნახველი სალაროები ფულად მოგებებს გაანაღდებენ 17 ივლისიდან. (საკდესი).

● ჭადრაკი

ისევ ქუთაისელები...

ზუგდიდში დამთავრდა მოსწავლეთა რესპუბლიკური გუნდური პირველობა. შეჯიბრებაში 10 კოლექტივი მონაწილეობდა (თითოეულში 6 ჭაბუკი, ორი გოგონა).

ტრადიციისამებრ I ადგილისთვის ბრძოლა თბილისისა და ქუთაისის გუნდებს შორის გაჩაღდა. ჩემპიონის ვინაობის ბედი ფაქტიურად მაშინ გადაწყდა, როცა ქუთაისელებმა სძლიეს მთავარ კონკურენტს — 5,5:2,5.

ქუთაისელები (ნ. მანაგაძე, ხ. სუპატაშვილი, პ. თუთარაშვილი, კ. კუხიანიძე, ე. ჩოგოვაძე, ბ. ხიზანეიშვილი, ნ. წკეპლაძე, მ. ცხვედიანი. მწვრთნელი ა. რაზოვსკი) ზედიზედ მეორედ გახდნენ ჩემპიონები. მათ 58 ქულა მოაგროვეს. 54 ქულით II ადგილზე გავიდა თბილისის გუნდი. III ადგილზეა აფხაზეთის კოლექტივი— 49,5. შემდეგ მოდიან: ზუგდიდის — 35, სამტრედიის — 34, გორის — 32,5, რუსთავის — 30,5, აჭარის — 26, წულუკიძის — 23 და ცხაკაიას — 17,5 გუნდები.

დაფების მიხედვით გაიმარჯვეს: გ. ჭურღულიამ (ზუგდიდი, მე-3 საშუალო სკოლა, VII კლასი) — 7,5 ქულა 9-დან, სუპატაშვილმა (ქუთაისი, მე-4, VII) — 8,5, თუთარაშვილმა (ქუთაისი, მე-15 VIII) — 8,5, თ. ზარგინავამ (სოხუმი, მე-17, VII) — 7,5, ზ. თურქაძემ (თბილისი, პირველი სკოლა, VII) — 8,5, ხიზანეიშვილმა (ქუთაისი, 33-ე, VII) — 7,5, ზეინაბ ხვედელიძემ (სამტრედია, მე-14 VII)— 7, ცირა მერეკლიშვილმა (თბილისი, 135-ე, VI) — 8.

რა თქმა უნდა, მისასალმებელია ქუთაისის გუნდის წარმატება, მაგრამ ამავე დროს დამაფიქრებელია, რომ ზედიზედ მეორედ მარცხდებიან დედაქალაქის მოჭადრაკეები. აქ კი მუშაობენ სპორტსკოლა სახალხო განათლების სამმართველოსთან (დირექტორი ა. წერეთელი), აგრეთვე პიონერთა სასახლესთან არსებული ოლიმპიური რეზერვის სკოლა (დირექტორი დიდოსტატი ნ. ალექსანდრია). აქვე საქმიანობენ გამოცდილი მწვრთნელები.

დასანანია, რომ ბოლო წლებში საგრძნობლად დათმეს პოზიციები აჭარისა და ცხაკაიას მოჭადრაკეებმა. წინათ ამ რეგიონებიდან სისტემატურად ვლებულობდით შევსებას რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში. საჭიროა ისიც ითქვას, რომ შეჯიბრების მონაწილეთა თამაშის საერთო დონე, მცირე გამონაკლისის გარდა, ვერ პასუხობს დღევანდელ მოთხოვნებს.

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადამდე (1984 წ. ივლისი) ჯერ კიდევ საკმაო დროა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ადგილებზე მომუშავე მწვრთნელები გულდასმით გააანალიზებენ ზუგდიდის შეჯიბრების შედეგებს და გარკვეულ დასკვნებს გააკეთებენ.

ხ. მეგრელიშვილი,
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მთავარი მწვრთნელი ჭადრაკში.

ოლიმპიურ სასროლეთზე

მოსკოვში „კრილატსკოეს" სპორტკომპლექსის ოლიმპიურ სასროლეთზე გრძელდება მშვილდოსანთა საკავშირო თასის გათამაშება. მონაწილეებმა უკვე დაამთავრეს მ-1 ვარჯიში. ორდღიან შეჯიბრებაში დაწინაურდნენ: მსოფლიოსა და ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი მოსკოველი ნ. ბუტუზოვა და მისი თანაქალაქელი ვ. ჩენდაროვი. ბუტუზოვამ 4 დისტანციიდან ასპარეზობის ჯამში 1298 ქულა მოაგროვა და 38 ქულით ჩამოიტოვა ი. ლეონოვა (ყაზახეთი).

ვაჟთა ლიდერს ჩენდაროვს 1264 ქულა დაუგროვდა. მას მხოლოდ 4 ქულით ჩამორჩება ვ. ეშეევი (რსფსრ).

თასების მფლობელნი დღეს გამოვლინდებიან.

რედაქტორი ა. ბასილაია

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 ИНДЕКС 66435 უო 09266